განკარგულება:**g-81. 81233402**
თარიღი:**06/12/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №52

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ცაგერის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Cageri Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106^1 მუხლისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 ნოემბრის №80-802333210 წერილის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცაგერის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Cageri Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე.

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცაგერის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Cageri Local Action Group) დამფუძნებლის უფლებამოსილება განახორციელოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ცაგერის რაიონულ სასამართლოში, (მის: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი